ელექტრონული არჩევნები: რეფორმირების თუ ძალაუფლების კონსოლიდაციის ინსტრუმენტი?

კახი ჩაკვეტაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ზურაბ ჭიაბერაშვილი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

კახი ჩაკვეტაძე

19.06.2025

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი „ელექტრონული არჩევნები: რეფორმირების თუ ძალაუფლების კონსოლიდაციის ინსტრუმენტი?“ იკვლევს ელექტრონული საარჩევნო სისტემების დანერგვის პოლიტიკურ მდგენელებს და აანალიზებს, როგორ შეიძლება ტექნოლოგიები გამოყენებული იქნეს დემოკრატიული რეფორმების ხელშესაწყობად ან ავტორიტარული და ჰიბრიდული რეჟიმების მიერ ძალაუფლების გასამყარებლად.

ნაშრომის მთავარი კვლევითი კითხვები ფოკუსირდება იმ პოლიტიკურ მოტივებზე, რომლებიც განაპირობებს ელექტრონული არჩევნების დანერგვას და იმ სისტემების ტიპებზე, რომლებიც მანიპულაციისთვის ყველაზე მაღალ რისკს შეიცავს. კვლევის ჰიპოთეზების მიხედვით, ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი მთავრობები რეფორმებისა და მოდერნიზაციის საფარქვეშ ნერგავენ ელექტრონულ სისტემებს საარჩევნო პროცესებზე ფარული კონტროლის გასაძლიერებლად, ხოლო ძალაუფლების კონსოლიდაციისთვის გამოიყენება ცენტრალიზებული, გაუმჭვირვალე სისტემები, რომელთაც არ გააჩნიათ დამოუკიდებელი ზედამხედველობისა და აუდიტის მექანიზმები.

კვლევა ეფუძნება ხუთი ქვეყნის — ესტონეთის, ნიდერლანდების, რუსეთის, ვენესუელისა და საქართველოს — შედარებითი შემთხვევის შესწავლის (case study) მეთოდოლოგიას. ანალიზი ეყრდნობა კონკურენტული ავტორიტარიზმის (ლევიცკი და ვეი), დემოკრატიის მოშლისა (ლევიცკი და ზიბლატი) და ელექტორალური ავტორიტარიზმის (შედლერი) თეორიულ ჩარჩოებს. ნაშრომი მიზნად ისახავს, ახსნას აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვის პოლიტიკური მოტივები და ის კონტექსტუალური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს მათ გავლენას დემოკრატიულ პროცესებზე.

Abstract

The master's thesis, "Electronic Elections: An Instrument of Reform or Consolidation of Power?", investigates the political dimensions of implementing electronic voting systems. It analyzes how technologies can be utilized either to promote democratic reforms or, conversely, by authoritarian and hybrid regimes to consolidate power.

The central research questions focus on the political motives driving the adoption of electronic elections and the types of systems that pose the highest risk of manipulation. The study hypothesizes that governments inclined towards authoritarianism introduce electronic systems under the guise of reform and modernization to increase latent control over electoral processes. It further posits that centralized, non-transparent systems lacking independent oversight and audit mechanisms are the primary tools for such power consolidation.

The research is based on a comparative case study methodology, examining the experiences of five countries: Estonia, the Netherlands, Russia, Venezuela, and Georgia. The analysis is grounded in the theoretical frameworks of competitive authoritarianism (Levitsky & Way), how democracies die (Levitsky & Ziblatt), and electoral authoritarianism (Schedler). The thesis aims to explain the political motivations behind the adoption of these technologies and the contextual factors that determine their impact on democratic processes.